მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N11
28 მაისი 2021 წ.

დაბა მესტია

,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

,,მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31 აგვისტოს №13 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/09/2020, სარეგისტრაციო კოდი 010260020.35103.016333) შეტანილ იქნეს ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართის, მე-6 მუხლს დაემატოს ,,ს)“ პუნქტი, ,,რ)“ და ,,ს)“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,რ)“ ,,სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლით გათვალისწინებული და საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექს“-ით დადგენილი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელება;

,,ს)“ მოქმედი კანონმდებლობით და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელება.“

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართის, მე-9 მუხლს პირველ პუნქტს დაემატოს ,,კ)“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,კ)'' ,,სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლით გათვალისწინებული დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელება“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მესტიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **მაიზერ ჯაფარიძე**